ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №94

2015 წლის 29 ივლისი,
ქ. ბათუმი

აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვროს **დანართი 1**-ის შესაბამისად;
2. საჭიროების შემთხვევაში, აკადემიურ დატვირთვებში ცვილილებები განხორციელდეს შესაბამის საფეხურზე სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს სამი კვირის განმავლობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა;
3. „აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი'' დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი **„აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ"** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 5 სექტემბრის №108 დადგენილება;
5. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე, პროფესორი: **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1.

აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სასწავლო-სამეცნიერო პროცესი წარიმართება კონკურსის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მასწავლებელთა პერსონალის (სპეციალისტების) მონაწილეობით.

2. აკადემიური დატვირთვის შესაბამისად განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ კატეგორიები:

2.1. **„ა“ კატეგორიის** აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო) ერთ საშტატო განაკვეთზე, სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 1500 საათს.

2.2.**„ბ“ კატეგორიის** აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო) ერთ საშტატო განაკვეთზე, სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 750 საათს.

2.3.**„გ“ კატეგორიის** აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო) ერთ საშტატო განაკვეთზე, სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 1100 საათს.

3. აკადემიური პერსონალის საშტატო ერთეულის სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა შეადგენს:

3.1 „ა“ და „გ“კატეგორის

- პროფესორისათვის - 250 საათს;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 300 საათს;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 320 საათს;
- ასისტენტისათვის - 350 საათს.

3.2 „ბ“ კატეგორის

- პროფესორისათვის - 125 საათს;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 150 საათს;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 160 საათს;
- ასისტენტისათვის - 175 საათს.

4. იმ აკადემიური პერსონალის სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა, რომელიც ატარებს მეცადინეობებს საბაკალავრო პროგრამებზე მცირერიცხოვან ჯგუფებში (სტუდენტთა რაოდენობა 10-ზე ნაკლები, გარდა პრიორიტეტული პროგრამებისა), განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

4.1 „ა“ და „გ“ კატეგორიის

- პროფესორისათვის - 250-დან 300 საათამდე;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 300-დან 350 საათამდე;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 320-დან 370 საათამდე;
- ასისტენტისთვის - 350-დან 400 საათამდე.

4.2 „ბ“კატეგორიის
- პროფესორისათვის - 125-დან 150 საათამდე;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 150-დან 175 საათამდე;
- ასისტენტ პროფესორისათვის - 160-დან 185 საათამდე;
- ასისტენტისთვის - 175-დან 200 საათამდე.

5. აკადემიური პერსონალის საშტატო ერთეულის სავალდებულო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

5.1. სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაო: ა) სწავლების პირველ საფეხურზე; ბ) სწავლების მეორე საფეხურზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა არის 10 ან მეტი) - ერთი საუდიტორიო შეხვედრა ერთი საათი:

5.2. საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა – საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად;

5.3. დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა – 50 საათი;

6. საშტატო ერთეულის არასაუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

6.1. მზადება ლექციისათვის - 1 ლექცია 3 საათი;

6.2. მზადება პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის/ჯგუფში მუშაობისათვის/ კურაციისათვის - 1 მეცადინეობა 2 საათი;

6.3. კონსულტაცია სტუდენტთათვის - ,,ა“ და ,,გ“ კატეგორიისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ხოლო ,,ბ“ კატეგორიისათვის – არანაკლებ 2 სთ.

6.4. უწყისის/ჟურნალის წარმოება - 1 ჯგუფზე 20 საათი;

6.5. სტუდენტის შეფასება (მიმდინარე, შუალედური, საბოლოო) – 1 სტუდენტზე 2 საათი;

6.6. 100 საგამოცდო ტესტის შედგენა ან საგამოცდო საკითხებისა და კითხვების მომზადება - 100 საათი;

6.7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - 1 პროგრამა 50 საათი;

6.8. კურატორობა – ერთ ჯგუფზე სასწავლო წლის განმავლობაში - 60 საათი (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 10 საათი);

6.9. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 1 ნაშრომი 50 საათი (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 10 საათი);

6.10. სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 1 თემა 20 საათი;

6.11. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა სწავლების მეორე წლიდან განისაზღვროს - 1 ნაშრომი 50 საათით (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით ანაზღაურდეს 20 საათი);

6.12. დოქტორანტის ხელმძღვანელობა - ერთი სასწავლო წლისათვის 50 საათი (აქედან საათობრივი ანაზღაურების წესით სწავლების პირველი წლისათვის ანაზღაურდეს 20 საათი, მეორე და მესამე წლისათვის - 40-40 საათი);

6.13. სახელმძღვანელოს თარგმნა - 1 გვერდი 3 საათი;

6.14. მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს მომზადება - 1 გვერდი 5 საათი;

6.15. სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება - 1 მოხსენება 20 საათი;

6.16. სამეცნიერო სტატიის მოზადება - 1 სტატია 100 საათი;

6.17. საკონფერენციო თემის მომზადება - 30 საათი;

6.18. საპატენტო განაცხადის მომზადება/წარდგენა - 30 საათი;

6.19. საგრანტო განაცხადის მომზადება/წარდგენა - 50 საათი;

6.20. დარგობრივ დეპარტამენტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორობა - 50;

6.21. საჯარო ან ღია ლექციის მომზადება - 20 საათი;

6.22. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა - 50 საათი;

6.23. აკადემიური საბჭოს წევრობა - 50 საათი;

6.24. სილაბუსის შედგენა/სრულყოფა - 50 საათი;

6.25. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება - 1 პროგრამა 100 საათი;

6.26. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომი 10 საათი;

6.27. სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომი 20 საათი;

6.28. საგამოცდო პროცესში მონაწილეობა - 1 გამოცდა 2 საათი;

6.29. და სხვა, წინამდებარე წესით გაუთვალისწინებელი საუნივერსიტეტო აქტივობა -- არაუმეტეს 100 საათისა.

7. პროფესიულ და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე აკადემიური დატვირთვა (სასწავლო კომპონენტი) ანაზღაურდეს მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით;

8. ემერიტუსები, სურვილის შემთხვევაში, დაიტვირთონ მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე. ემერიტუსის მიერ შესრულებული სამუშაო (სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაო) **ანაზღაურდეს საათობრივი ანაზღაურების წესით (გარდა ბსუ–ს წესდების 62–ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);**

9. მოწვეულ პროფესორთა და მეცნიერ-თანამშრომელთა დატვირთვა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება ინდივიდუალური ხელშეკრულებით;

10. როგორც დოქტორანტის, ისე მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებულმა პროფესორი, სამეცნიერო თანამდებობის მქონე დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი აგრეთვე შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი.

11. დასაშვებია ერთი პიროვნების მიერ ერთდროულად არაუმეტეს 3 დოქტორანტისა და 2 მაგისტრანტის ან ერთდროულად 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში (დოქტორანტი ან მაგისტრანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ ჩაითვლება ამ პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში);

12. აკადემიურ პირს არასააუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები შესრულებულად ჩაეთვლება მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სხდომის დადგენილების საფუძველზე.

13. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აკადემიურ ჯგუფებში სტუ-დენტთა რაოდენობა განისაზღვროს:

13.1. ლექცია – არაუმეტეს 60 სტუდენტისა;

13.2. საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტულ, კომპიუტერულ და ტექნიკურ მეც-ნიერებებში ლაბორატორიული, უცხოურ ენებში პრაქტიკული მეცადინეობა – არა უმეტეს 20 სტუდენტისა;

13.3. ჯანდაცვის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული მეცადინეობა (კურაცია) – არაუმეტეს 15 სტუდენტის;

13.4. სხვა დანარჩენი სპეციალობების პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობა, ჯგუფში მუშაობა – არაუმეტეს 30 სტუდენტის;

13.5. სხვადასხვა სახის პრაქტიკების დროს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სასწავლო ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დადგენილ რაოდენობას. გარდა პედაგოგიური პრაქტიკისა, სადაც ჯგუფში სტუდენ-ტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს.

13.6. დამატებითი სპეციალობაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში ან მას-წავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ძირითად სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა რაო-დენობას ამ წესის 13.1, 13.2, 13.4 ქვეპუნქტების მიხედვით.

14. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა შესაძლებელია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის საფუძველზე.